



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების
(სგშ) საპილოტე პროექტი გურჯაანის
მუნიციპალიტეტში სივრცის დაგეგმარების
მხარდასაჭერად

**ტრენინგი თემაზე: სტრატეგიული
გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)**

დავ ჰიკმანი
ახალი შოტლანდია, კანადა

Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



რა არის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)?

განმარტება

სტრატეგიული დოკუმენტის (საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი) განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა.

სგშ-ს მიზანი

სგშ-ს ზოგადი მიზანია:

- შეაფასოს, თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს გეგმებმა, სტრატეგიებმა ან/და პროგრამებმა გარემოზე, განმარტების შესაბამისად;
- გამოავლინოს ღონისძიებები გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების დასაძლევად და დადებითი გავლენის წარმოსაჩენად.

სგშ მთავარი ინსტრუმენტია მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

სგშ-ს აქტიურად გამოიყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, გაეროს სააგენტოები, ევროკავშირის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და სხვ.



რით განსხვავდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან?

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ფოკუსირებულია პოლიტიკაზე, პროგრამებსა და გეგმებზე	ფოკუსირებულია კონკრეტულ პროექტებზე
განიხილავს დოკუმენტების ზემოქმედებას, რომლებიც მიმართულებას აძლევს განვითარებას, მაგრამ არ ეხება კონკრეტული განვითარების ინიციატივებს	ეხება კონკრეტულ პროექტებს - მაგრამ არა ფაქტორებს, რომლებიც ასტიმულირებენ ან მიმართულებას აძლევენ ამ პროექტებს
მხარს უჭერს მდგრად განვითარებას ლანდშაფტის/რეგიონულ/ეროვნულ დონეზე	მხარს უჭერს გარემოსდაცვით მდგრადობას ქონების/პროექტის დონეზე
ეხება რამდენიმე წლის/ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს	ეხება პროექტის განხორციელების კონკრეტულ ვადებში შესრულებულ აქტივობებს
უზრუნველყოფს „ადრეულ გაფრთხილებას“, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს გეგმებმა გარემოზე	განსაზღვრავს კონკრეტული პროექტების კონკრეტულ ზემოქმედებას გარემოზე.
დროთა განმავლობაში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციების ფართო ანალიზი	კონკრეტული პროექტის ზემოქმედების ვიწრო ანალიზი



სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ევროპაში

სგმ-ს მთავარი სტრუქტურა

სკრინინგი - იმის განსაზღვრა, ექვემდებარება თუ არა გეგმა სგმ-ს პროცედურას

სკოუპინგი - საჭირო კვლევის, შეფასების მიდგომების და დაშვებების დადგენა

სგმ-ს ანგარიში

გარემოს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმოხილვა;


შემოთავაზებული გეგმის სავარაუდო ზეგავლენის განსაზღვრა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, როგორც წესი, უფრო მეტად ცვლილების მიმართულების თვალსაზრისით და არა მყარი რიცხვების სახით;

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების განსაზღვრა;

უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის, შემცირების ან შერბილების ღონისძიებები.

საზოგადოების ჩართულობა - საზოგადოების ინფორმირება და მასთან კონსულტაცია, საჯარო კომენტარებისა და მოსაზრებების დოკუმენტირება.

საქართველოში: გეგმის ზემოქმედების მონიტორინგის კუთხით კონკრეტული სგმ მოთხოვნა არ არსებობს





სივრცით დაგეგმარებაში სგშ-ს გამოყენების უპირატესობები

წარმოადგენს ინსტრუმენტს სივრცითი გეგმის დონეზე მდგრადი განვითარების მკაფიოდ დაგეგმვისა და დაპროექტებისთვის.

ცვლილების მიმართულების ჰოლისტიკური ანალიზი ხაზს უსვამს გარემოზე / საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მრავალი მცირე ნეგატიური ზემოქმედების ჯამურ ზეგავლენას, რომლებიც, ინდივიდუალურად ადებული, რომელიმე კანონს ან პოლიტიკას არ ეწინააღმდეგება.

გეგმის ზემოქმედება გარემოზე/საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე პროაქტიულად განიხილება წინასწარ - და არა გეგმის განხორციელების შემდეგ, როდესაც შეიძლება ძალიან გვიანი, ან ძალიან ძვირი იყოს ზეგავლენის შედეგებზე რეაგირება.

საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი/ჯანმრთელობის პრიორიტეტები თავიდანვე ინტეგრირებულია დაგეგმვაში და ხელს უწყობს საზოგადოების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას.

სივრცითი გეგმის თანმიმდევრულობას აჩვენებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ამოცანებსა და მიზნებთან, ეროვნულ დონეზე

Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP





სივრცით დაგეგმარებაში სგმ-ს გამოყენება: მიღებული გამოცდილება

- დაგეგმვის პროცესებთან კარგი ინტეგრაციის უზრუნველყოფა
სგმ დაგეგმვისთვის საჭირო ინფორმაციას უზრუნველყოფს და ინტეგრირებული უნდა იყოს დაგეგმვის პროცესში.
- კონტექსტზე მორგებული შინაარსი
არ არსებობს ორი ერთნაირი სივრცითი გეგმა; სგმ პროცესები შეიძლება იგივე იყოს, მაგრამ დაგეგმვის პრიორიტეტები და სგმ-ს შინაარსი სხვადასხვა გეგმაში განსხვავებულია.
- კონცეფციებისა და გეგმების პროექტების შეფასება მდგრადობის ამოცანების, პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით
შეფასება უნდა იყოს ობიექტური და დადგენილი მიზნებიდან გამომდინარეობდეს; შეფასების საფუძველი მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული;
- საზოგადოებისა და დაკავშირებული მხარეების მოსაზრებების მიმართ მიმტეობა
სივრცითი გეგმები საზოგადოებებს (თემებს) ემსახურება და არა დამგეგმავებს.
საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტები გათვალისწინებული უნდა იყოს და საჭიროა ამ პრიორიტეტების მიმართ ქმედების/უმოქმედობის მიზეზების ღოკუმენტირება.



მეთოდოლოგიური მოსაზრებები: მიღებული გამოცდილება

- მკაფიოდ გამოავლინეთ პრიორიტეტები სგმ-ს ანგარიშისთვის ყველაფერი არ არის პრიორიტეტული; „სკოუპინგის“ ამოცანაა, რომ სწრაფად განასხვავოს უფრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი, რათა სგმ ანგარიშმა უფრო მნიშვნელოვანზე შეძლოს ფოკუსირება.
- სგმ-მ უნდა „დახატოს სურათი“ გეგმების სავარაუდო ეკოლოგიური შედეგების შესახებ
კერძოდ, გეგმების ჯამურ და არაპირდაპირ ზემოქმედებას შეიძლება უფრო მეტი ზემოქმედება ჰქონდეს გარემოზე, ვიდრე პირდაპირ რიცხობრივად მარტივად გასაზომ ზემოქმედებას.
- სგმ-ს შედეგები შეიძლება იყოს ნახევრად რაოდენობრივი და მიმართულების განმსაზღვრელი
გეგმების ზუსტი ზემოქმედება შეიძლება ყოველთვის სრულად ვერ იქნას დადგენილი რაოდენობრივად, მაგრამ, როგორც წესი, შეიძლება რიცხობრივად იქნას წარმოდგენილი


Action implemented by:





მონაცემთა წარდგენის ნიმუშები - მაგალითები

პრეზენტაციისას მნიშვნელოვანია:


- გამოიყენოთ სურათები მონაცემებისა და დასკვნების საჩვენებლად;
- მნიშვნელოვანი მიგნებების კომუნიკაცია მაშინაც შეიძლება, როცა მათი რაოდენობრივად გამოსახვა შეუძლებელია;
- გრაფიკული სახით ჩვენებას დიდი ზეგავლენა აქვს.



One Cause and Multiple Effects Diagram



Exponential vs. Linear Growth



x: დრო, y: ეფექტის დონე

Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



მაგალითი: სგშ დიდი ბაქოს რეგიონული განვითარების გეგმის მხარდასაჭერად

- სგშ 3 ფაზად განხორციელდა:
- სკოუპინგი;
 - ზემოქმედების შეფასება;
 - მონიტორინგი, შეფასება და ინსტიტუციური გაძლიერება.



Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



1-ლი ფაზის შედეგები

59 ძირითადი აქტივობის გამოვლენა, რომლებიც პოტენციურად ან რეალურად ახდენენ სერიოზულ ზეწოლას ბუნებრივ, ადამიანურ და კულტურულ გარემოზე, ასევე, მათი ზეგავლენები.

მთავარი საჭიროებების გამოვლენა დიდ ბაქოში გარემოსდაცვითი მდგრადობის მისაღწევად:

- გაუმჯობესებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები, განსაკუთრებით, გარემოსდაცვითი დაგეგმვისთვის;
- გაძლიერებული შესაძლებლობები, რაც დაკავშირებულია ფინანსურ ჩარჩოებთან;
- თემატური პრიორიტეტები დაუყოვნებელი და უწყვეტი ქმედებებისთვის.

Action implemented by:






მე-2 ფაზის შედეგები

15 „განვითარების კლასტერიდან“
თითოეულის სივრცით დაგეგმარებაში
გარემოსდაცვითი პრიორიტეტებია:

- ბუნებრივი გარემო
- სოციალური გარემო
- კულტურული გარემო

სასურველი განვითარების ვარიანტისთვის:

- გარემოსდაცვითი დეტალური ტექნიკური დავალების (fiche) მომზადება თითოეულ კლასტერში განვითარების გზის საჩვენებლად;
- განვითარებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი შეზღუდვების და გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების გამოვლენა.



Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



მე-3 ფაზის შედეგები

ინსტრუმენტები გარემოსდაცვითი მდგრადობის ინტეგრირებისთვის სივრცით დაგეგმარებაში GBRDP-ში:

- ტექნიკური დავალება გარემოსდაცვითი სკრინინგისთვის და განვითარების წინადადებების ანალიზი;
- საერთაშორისო პროცედურები, ნორმები და სტანდარტები GBRDP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრისთვის;
- კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოვლენა გარემოსდაცვითი დაგეგმვისა და სივრცითი განვითარების სფეროში;
- გარემოსდაცვითი დაგეგმვის ფუნქციის ინტეგრირება სივრცითი დაგეგმარების აქტივობებში.

Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP